პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 6 მარტი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

№ 50 (738) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ტფილისის სამაზრო-საქალაქო ყრილობა გაიხსნება 15 მარტს, დილის 10 საათზე.

დღის წესრიგი და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

მაზრის დელეგატები უნდა გამოცხადდენ აღმასკომის სამდივნოში (ოთახი № 5) არა უგვიანეს 14 მარტისა საათ. მანდატ. მისაღებათ.

ტფილისის საბჭოს წევრებმა უნდა მიიღონ თავის დროზე საოლქო საარჩევნო კომისიებში დროებითი მანდატები.

3—2 პრეზიდიუმი

## მორიგი დახმარება სოფელს.

საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიის დღის წესრიგში დამატებით შეტანილ იქმნა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემცირების საკითხი. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ზედმეტად ამტკიცებს იმ გარემოებას თუ როგორ ზრუნავს გლეხობაზე საბჭოთა ხელისუფლება და რა ყურადღებით ეპყრობა ის მის ყოველგვარ გაჭირვებას.

თავის მოხსენებაში ამხ. რიკოვმა ვრცლად დაასურათა საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობა და ჯამი გაუკეთა მუშურ-გლეხური ქვეყნის მიღწევებს.

საერთოდ და მთლიანად საბჭოთა კავშირი მიიწევს წინ აღორძინების გზაზე. ეს უდავო ჭეშმარიტებაა. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ნელის ნაბიჯით, მაგრამ მტკიცედ მიდის წინ. მარტო ის გარემოება, რომ ჩვენ მივაღწიეთ მტკიცე სახელმწიფო ხარჯებს ე. ი, ბიუჯეტს, საუცხოვოდ ადასტურებს ჩვენ საერთო ზრდას და გაძლიერებას.

მაგრამ საბოლოო აღორძინებისაგან კიდევ შორს ვართ. საჭიროა უფრო მეტი ენერგია და შრომა რომ მივაღწიოთ საბჭოთა სახალხო მეურნეობის აღდგენას ე. ი. მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის. ეს უკანასკნელი ხან გამოშვებით განიცდის დიდ გაჭირვებას. წრევანდელმა ამინდებმა ძლიერ დაზიანა მოსავალი, გაანადგურა დიდძალი მუშა-საქონელი. ცხადია ასეთი მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში დიდათ დააბრკოლებს ჩვენი საერთო წინსვლას, ვინაიდან მოსავალი მოსავლისაგან დიდათ დამოკიდებულია საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შემდეგი განვითარება და გაფურჩქვნა—ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე გადადგა მთელი რიგი პრაქტიკული ნაბიჯები სასოფლო-მეურნეობის დასახმარებლად, რომ უზრუნველყოფილი იქმნას მოსავალი და გლეხის მეურნეობას მიეცეს განვითარების საშუალება. ამ მიზნით გადადებულია სათანადო თანხა საჭირო თესლეულობის მისაწოდმად და მიღებულია ზომები, რომ საშუალება მიეცეს გლეხობას მუშასაქონლის შესაძენად.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება მარტო ამ დახმარებაზე არ ჩერდება ის უფრო წინ მიდის სოფლის დახმარების საქმეში.

მიმდინარე მესამე სესიაზე დასმულია საკითხი სასოფლო სამეურნეო გადასახადის შემცირებაზე. ამხ. რიკოვის აზრით ის შემცირდება დაახლოებით 25 პროც. მიუხედავათ იმისა, რომ გადასახადები მეტის მეტად მცირე არიან ომამდე არსებულ ნორმასთან, მუშურ გლეხური ხელისუფლება კიდევ საგრძნობლად ამცირებს მას, რომ ამით დაეხმაროს სასოფლო მეურნეობას და საშუალება მისცეს გლეხს მოაწესრიგოს თავისი მეურნეობა.

ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მუშურ გლეხური ხელისუფლება ნამდვილად მუშების და გლეხების ძალაუფლებაა და ის საქმით ეხმარება მათ.

# ახალი რადიო-ამბები.

## ცაკის სესია ტფილისში.

გაზეთი „პრავდა“ მოწინავეში სწერს:

„საკავშირო ცაკის სესია ყურადღებას იპყრობს პირველ ყოვლისა იმით, რომ ის სწარმოებს საქართველოს დედაქალაქ ტფილისში. ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს, რომლებისთვისაც ხალხთა ძმობა და ნებაყოფლობითი კავშირი მხოლოდ ცარიელი სიტყვებია,—ცაკის სხდომა ტფილისში, ცხადია, მოეჩვენებათ ყალბ „დეკორაციად“, რომელშიაც, ბურჟუაზიული გაზეთების სიტყვით, „ისე დახელოვნებული არიან კომუნისტები“. ნამდვილად კი ჩვენთვის ეს არის ჩვენი ჭეშმარიტი გაერთიანების, თანხმობის და სხვა და სხვა ხალხთა კავშირის დემონსტრაცია.

არა მარტო მუშათა კლასი გაიმართა წელში, არამედ სრული ახალ საფუძვლებზე იქნა აგებული ერთა შორის ურთიერთობა.

ხშირად ჩვენც ვერ წარმოვიდგენთ ცვლილებების მთელ სიდიადეს. რუს მუშასა და გლეხს, რომელთაც კარგი ხანია არ უნახავს ეროვნული ჩაგვრა, ხშირად არ ესმის ეს საკითხი. მაგრამ ვისაც კი უცხოვრია მათგან განაპირა ქვეყნებში, მათ იციან თუ რა სიძულვილით ეპყრობოდენ და ამცირებდენ ადგილობრივ მკვიდრთ, სხვა ეროვნებებს და სხვა... ეხლა ჩვენ ვპობთ ასეთ დამოკიდებულებას და ჩვენი პოლიტიკით არამც თუ ვაკავშირებთ ჩვენს საბჭოთა ტერიტორიაზე მოსახლე ერებს, არამედ დიდ გავლენას ვხვევთ მსოფლიო ჩაგრულ ხალხთა შორის“.

## ოსმალეთის მთავრობის გადადგომა გამოიწვია ფეხტი-ბეის რბილმა პოლიტიკამ.

### ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო ისმეტ-ფაშას.

როგორც ვიცით ოსმალეთში გადადგა ფეხტი-ბეის მთავრობა. მთავრობის გადადგომის მიზეზად ასახელებენ ფეხტი-ბეის რბილ პოლიტიკას. ფეხტი-ბეის რბილი პოლიტიკა გააძნელებდა მთავრობის ბრძოლას აჯანყებულთა წინააღმდეგ. ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო ოსმალეთის ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს—ისმეტ-ფაშას.

კაბინეტის გამოცვლა მომასწავებელია მტკიცე პოლიტიკის მობრუნებისა საშინაო საქმეებში. ამ პოლიტიკას უსათუოდ მოყვება ახალი რეფორმები ფეოდალური ნაშთების მოსპობის მიზნით ოსმალეთში.

## გერმანიის კომუნისტებმა პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატათ წამოაყენეს ტელმანი.

### ვინ არის ტელმანი?

ტელმანი ძველი მტვირთავი მუშაა. ერთ დროს ის იყო მეზღვაური. ტელმანი 20 წელიწადია მონაწილეობს მუშათა მოძრაობაში. ის იბრძვის ჯერ სოციალ-დემოკრატებთან და შემდეგ დამოუკიდებლებთან ერთად მემარჯვენეებისა და ოპორტიუნისტების წინააღმდეგ. დამოუკიდებელ პარტიაში განხეთქილების შემდეგ ის შედის კომპარტიაში. 1923 წელს ინიშნება გერმანიის კომპარტიის ცეკას წევრად. 1924 წელში მას ირჩევენ რეიხსტაგის დეპუტატად. რეიხსტაგის ხელახალი არჩევნების შემდეგაც ის რჩება დეპუტატად.

ტელმანს იცნობს რუსეთის და კერძოდ მოსკოვის მუშები. ის მონაწილეობდა კომინტერნის მე-4-ე და მე-5-ე კონგრესებზე. უკანასკნელ კონგრესზე ტელმანი არჩეულ იქნა კომინტერნის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ.

## გერმანიის „ჩეკას“ გასამართლება.

გრძელდება კენიგის დაკითხვა. გამოირკვა საბოლოოდ რომ კენიგი ჯაშუში, პროვოკატორი და მსხვილი პროვაკატორის დინერის ხელქვეითი ყოფილა.

დამცველთა მოთხოვნით პროკურორი იძულებული შეიქნა წაეკითხა ოქმში შეტანილი კენიგის ჩვენება, რომ მან (კენიგი) დღიდან ტერორისტულ ჯგუფში შესვლისა გასცა კომუნისტური პარტია პოლიციის დავალებით.

ბურჟუაზიული პრესა და „ფორვერტსიც“ კი აცხადებენ რომ ლეიპციგის სასამართლოს უკანასკნელ სხდომამ სავსებით გამოაშკარავა კენიგი, როგორც ჯაშუში.

## კულიჯი შეუდგა თავის თანამდებობას.

4 მარტს კულიჯი შეუდგა ოფიციალურად ამერიკის პრეზიდენტის თანამდებობის ასრულებას. იმავე დროს თავის მოვალეობას შეუდგა ვიცეპრეზიდენტი დოუესი, რომელსაც ენიჭება აგრეთვე სენატის თავმჯდომარეობის პოსტი. იუზი ოფიციალურად სტოვებს სახელმწიფოს მდივანის თანამდებობას, რომელიც გადადის კელოგის ხელში.

## ახალი ოსმალეთი დაადგა დაუნდობელს ბრძოლის გზას რეაქციის წინააღმდეგ.

მიუხედავათ იმისა, რომ ალაგ ალაგ აჯანყებულები მარცხდებიან, ისინი მაინც წარმოადგენენ მნიშვნელოვან ძალას. ამ გარემოებას ადასტურებს აგრეთვე ფეხტი-ბეის მთავრობის გადადგომა. ამ კაბინეტის დაცემის მიზეზია მისი რბილი პოლიტიკა რეაქციონერებთან ბრძოლაში. ცხადია ისეთ მომენტში, როცა აღვირახსნილი რეაქცია იარაღით ხელში უტევს ოსმალეთის ეროვნულ რევოლიუციონურ ხელისუფლებას და ლამობს მის დამარცხებას, აჯანყებულთა წინააღმდეგ მიღებულ უნდა იქმნას სწრაფი და დაუნდობელი ზომები. საჭიროა გადამჭრელი და შეუბრალებელი ბრძოლა. აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ მერყეობას, ქანაობას და სირბილეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, რეაქციის საშიშროება უფრო გაიზრდება და აჯანყება გაგრძელდება, რაც აუარებელ მსხვერპლს გამოიწვევს. ამიტომაც ფეხტი-ბეის მთავრობის დარჩენა ასეთ მომენტში განახლებულ ოსმალეთის სათავეში სრულიად არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ის არ ებრძვის რეაქციონერებს ისე, როგორც ამას მოითხოვს არსებული მდგომარეობა. მით უმეტეს, რომ მან უარი განაცხადა გადამჭრელი ზომების მიღებაზე დასტამბოლში, რომელიც რეაქციის ბუდეს წარმოადგენს არ შემოიღო საალყო წესები.

ყოველივე ეს კარგად გაითვალისწინა სახალხო პარტიამ, რომელიც ახალი ოსმალეთის მებაირახტრეა, და გამოიტანა დადგენილება ფეხტი-ბეის მთავრობის გადაყენებაზე.

ახალი მთავრობის შედგენა მიენდო ისმეტ-ფაშას, რომელსაც ცნობილია როგორც შეურიგებელი მტერი ოსმალეთის რეაქციისა.

ის წარმოადგენს სწორედ ისეთ პიროვნებას, რომელიც შესძლებს მტკიცე ხელებით აჯანყების ჩაქრობას, რომელსაც ასულდგმულებს ინგლისის იმპერიალიზმი.

ისმეტ-ფაშის მთავრობის სათავეში მოქცევა ნიშნავს მას, რომ ოსმალეთის სახალხო პარტია დაადგა რეაქციასთან სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლის გზას. ეს ერთად ერთი საშუალებაა ახალი რეჟიმის საბოლოო გამარჯვებისათვის ოსმალეთში. წინააღმდეგ შემთხვევაში თუ ადგილი ექნა მერყეობას და შემთანხმებლობას, მაშინ სულთანის მომხრეები კვლავ მოიკრებენ ძალებს და უფრო დიდ ზიანს მიაყენებენ ოსმალეთის ხალხს.

თუ ახალი, განახლებული ოსმალეთის მესვეურებს სურთ თავის ძალაუფლების საბოლოო გამარჯვება და განმტკიცება, მათ დაუნდობელი ხელით თავი უნდა მოჰკვეთონ ოსმალეთის რეაქციას და სამუდამოთ იმედი უნდა დაუკარგონ მათ ამბოხების განმეორებაზე.

ამ შემთხვევაში ოსმალეთის ხალხმა უნდა მიბაძოს საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს, რომლებმაც შეუბრალებელი ბრძოლის გზით სამუდამოთ აღკვეთეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან ბურჟუაზიულ-პომეშჩიკური კონტრრევოლიუცია.

—ე.

# საკავშირო ცაკის მესამე სესია.

## ამხ. ჩიჩერინის მოხსენება

4 მარტის სხდომაზე.

### იაპონია.

იაპონია ორჭოფულ მდგომარეობაშია. მას აქვს მსხვილი მრეწველობა, ძლიერი არმია, ფლოტი, ჰფლობს აზიის ხმელეთის ზოგიერთ ნაწილებს, მაგრამ როგორც იმპერიალისტურ სახელმწიფოს არ შეუძლია მისდიოს ამერიკასა და ინგლისს. იმავე დროს ის ეკუთვნის ფერად კანიანთა ტომს. ეს მიზეზები ჰქმნიან თეთრკანიანთა ბ ტონობის პოლიტიკისათვის მტრულ განწყობილების საგანს.

ინგლისმა უარყო იაპონიასთან კავშირი ამერიკასთან კავშირის გულისთვის. იაპონია შიშს განიცდის ინგლისსა და ამერიკის მხრივ. ამიტომ სამი წლის მერყეობისა და ყოყმანის შემდეგ იაპონიამ არჩია ჩვენთან შეთანხმება, რაიც მოასწავებს მთლიანი ანტანტის პოლიტიკიდან გადახვევას.

### იტალია.

განზე სდგას იტალია, რომელიც შეურაცყოფილია იმით რომ მას ძალიან ცოტა ხვდა ნადავლი გამარჯვების შემდეგ. იტალიის ინტერესები ეჯახება ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესებს. ის სცდილობს გააძლიეროს დამოუკიდებელი გზით ეროვნული იმპერიალიზმი.

### გერმანია.

გერმანია რა მდგომარეობაშიაც არ უნდა იყოს, ის ეცდება ზურგის გამაგრებას აღმოსავლეთიდან. ამიტომ ის არ გასწყვეტს კავშირს ჩვენთან. ამას უკარნახებს მას ანტანტის პოლიტიკა, რომელმაც მრავალი ხრიკები მოსდო გერმანიას კელნისზონის ოკუპაციის გაგრძელების მიზნით.

### პოლონეთი.

პოლონეთის პირადი და გარეშე პირობები ერთმანეთს არ ეთანხმებიან. ერთის მხრივ პოლონეთი იძულებულია დაგვიახლოვდეს, მაგრამ კერძო მიზეზები მას ხელს უშლიან, საიდანაც გამომდინარეობს მისი მერყეობის პოლიტიკა.

### აღმოსავლეთი.

აღმოსავლეთში ძლიერდება ერთა განმანთავისუფლებელი მოძრაობა. ჩინეთში სწარმოებს ბრძოლა იმპერიალისტურ ქვეყნების მათ საქმეში ჩარევის წინააღმდეგ. ისტორიას იშვიათად ახსოვს ისეთი მაგალითები, როგორც ჩინეთის ხალხთა განმანთავისუფლებელი მოძრაობაა.

### ჩვენ და ინგლისი.

ინგლისის კონსერვატიული მთავრობა სცდილობდა ერთიანი ფრონტის შექმნას ჩვენს წინააღმდეგ. ეს იყო პირველი პერიოდი. ინგლისის მთავრობამ შეიცვალა ეს პოზიცია. არც ერთი სახელმწიფოსთან არ გვაქვს ჩვენ იმდენი შეჯახება, როგორც ინგლისთან. ამიტომ ჩვენი მიზანია რაც შეიძლება ადრე შევუთანხმდეთ ინგლისს. ჩვენ ბრძოლა არ გვსურს და არც ინგლისია ისეთ მდგომარეობაში, რომ არ სურდეს ჩვენთან შეთანხმება. მაგრამ არის ერთგვარი ნიშნები, რომ ინგლისი ზეგავლენის მოხდენას სცდილობს ჩვენზე. რასაკვირველია ჩვენ აქ არ დავუთმობთ, მაგრამ მოლაპარაკებისათვის ჩვენ მუდამ მზადა ვართ.

### ჩვენ და ამერიკა.

შორეულ აღმოსავლეთის პოლიტიკა, კერძოდ ჩვენი შეთანხმება იაპონიასთან და საერთოდ საჭიროება კავშირი იქონიო სახელმწიფოსთან, რომელიც შეიცავს დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილს, უკარნახებს ამერიკას შესცვალოს თავისი პოლიტიკა ჩვენს მიმართ, მით უმეტეს, რომ ამერიკა სცდილობს გააფართოვოს თავისი პოლიტიკა და მონაწილეობა მიიღოს მთელი მსოფლიოს საქმეებში.

### ჩვენი დამოკიდებულება საფრანგეთთან.

ამ ჟამად ჩვენსა და საფრანგეთს შორის დამოკიდებულებაში სწარმოებს თანდათანობით მიახლოება ერთმანეთთან. ის საჭიროდ სცნობს ჩვენთან ეკონომიურ კავშირს, მაგრამ არის წვრილი საკითხების მთელი რიგი, რომელშიც საფრანგეთს უჭირავს ჩვენთვის მიუღებელი პოზიცია.

### საბჭოთა საქართველო და საფრანგეთი.

ერთი მთავარ საკითხთაგანი, რომელიც გვაშორებს ჩვენ და საფრანგეთს—ეს არის საკითხი საქართველოს შესახებ. ამხ. რიკოვი აქ შეეხო ჩვენი ცნობის საკითხს. იქ ნათქვამია, რომ საფრანგეთი სცნობს საბჭოთა მთავრობის ხელისუფლებას ყველა ტერიტორიებზე, რომელთა მცხოვრებლებიც მას სცნობენ.

იმისათვის რომ ადგილი არ ჰქონებოდა საფრანგეთის უარის შესაძლებლობას საბჭოთა ხელისუფლების ცნობაზე საქართველოში, სენატორ დემონზიმ წერილობითი მოწმობა გადასცა რაკოვსკის, რომ აქ არ არის მიღებული მხედველობაში საქართველო.

საქართველო არ ითვლება იმ მხარედ, რომელიც არ შედიოდის საბჭოთა ხელისუფლების ქვეშ.

ესევე გვცნობა ჩვენ საფრანგეთის ელჩმა ერბეტმა, რომელმაც განაცხადა, რომ საფრანგეთს არ მიაჩნია სადაოდ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში, მაგრამ სამწუხაროდ, როცა რენოდელი გამოსთქვამს პარლამენტში თავის აზრს, რომ გამოვყოთ ცნობიდან საბჭოთა საქართველო, საფრანგეთის მთავრობამ ამაზე არაფერი სთქვა.

ამხ. რიკოვმა სწორად აღნიშნა გუშინ, რომ არავითარი შეთანხმება არ შეიძლება სახელმწიფოსთან რომელიც არ სცნობს საბჭოთა საქართველოს.

### ურთიერთობა იტალიასთან.

იტალიასთან ჩვენი ურთიერთობა კეთილ მეგობრულია. იტალიის მთავრობა არ ამტკიცებს ბესარაბიის ანექსიას რუმინეთის მიერ.

ეს ჩვენთვის საცდელი ნაბიჯია იტალიასთან შემდეგი ურთიერთობისათვის.

### ურთიერთობა გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

რაც შეეხება გერმანიასთან დამოკიდებულებას, მეგობრული ხაზი ჩვენსა და მის შორის შეურყევლად რჩება. მართალია ჩვენ გვაქვს ბევრი რამ სადაო, მაგრამ ეკონომიური გერმანია და საბჭოთა რესპუბლიკა იმდენად წარმოადგენენ ერთმანეთის დამატებას, რომ გარეშე ეკონომიური პირობები აიძულებენ მათ დაიცვან თანამშრომლობის პოლიტიკა.

### ავსტრია და საბჭოთა კავშირი.

ავსტრიის ეკონომიური მდგომარეობა უნუგეშოა. ავსტრიაში კვლავ ილვიძებს მიძინებული ლტოლვა გერმანიასთან გაერთიანებისათვის. ამის წინააღმდეგია საფრანგეთი და ინგლისი, ვინაიდან მათი ინტერესები მოითხოვს ამ სახელმწიფოების ეკონომიურად განცალკევებას. ჩვენი დამოკიდებულება ავსტრიასთან მეგობრულია და ვაძლიერებთ მასთან ეკონომიურ ურთიერთობას. ავსტრიამ აღძრა საკითხი სავაჭრო ხელშეკრულების დადებაზე ჩვენთან. ჩვენის აზრით ჩვენი ურთიერთობა ისედაც ნორმალურად ვითარდება, მაგრამ ამის წინააღმდეგი არა ვართ და ველით ავსტრიისაგან სავაჭრო ხელშეკრულების თეზისებს.

### დამოკიდებულება უნგრეთთან.

რაც შეეხება უნგრეთს, მოლაპარაკება ურთიერთობის განახლების შესახებ უნდა დამტკიცებულიყო არა უგვიანეს 5 დეკემბრისა. უნგრეთმა გვთხოვა ჩვენ ვადის გაგრძელება 5 აპრილამდი. ვნახოთ რა იქნება 5 აპრილამდი.

### ურთიერთობა პოლონეთთან.

პოლონეთის მთავრობა გამოსთქვამს სურვილს ჩვენთან მოლაპარაკების შესახებ. ჩვენ მხრივაც არის სურვილი მოვაგვაროთ ურთიერთობა პოლონეთთან. ჩვენი პოლიტიკა—მშვიდობიანობის პოლიტიკაა.

### ჩვენ და ბალტიის სახელმწიფოები.

რაც შეეხება ბალტიის სახელმწიფოებს, მათ საქმიანობაში შემჩნეულია ორჭოფობა. ერთის მხრივ კომუნისტურ გამოსვლების შემდეგ, ესტონეთმა მიმართა ინგლისს მიეღო ის თავის მფარველობის ქვეშ. მეორეს მხრივ ჩვენ გვიმტკიცებდა, რომ ჩვენ არავითარი ეჭვი არ გვაქვს საბჭოთა კავშირის მონაწილეობაზე გამოსვლების მოწყობაშიო. ასეთი ორჭოფული პოლიტიკა ახასიათებს ბალტიის ყველა სახელმწიფოებს.

ბალკანეთში თანდათან იზრდება შინაური კრიზისი. რევოლიუციონური ძალები იზრდება. შიშის გამო ბალკანეთის სახალმწიფოები სცდილობენ გაერთიანებას მთლიან ფრონტის შესაქმნელად ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ, ვინაიდან მათ შორის ინტერესთა სხვადასხვაობაა.

### ჩვენ და ოსმალეთი

რაც შეეხება აღმოსავლეთის სახელმწიფოებს, ჩვენი დამოკიდებულება მათთან დღითიდღე იზრდება. ეს შეიძლება ყველაზე ადრე ვსთქვათ ოსმალეთის შესახებ. თუმცა ჩვენს შორის არის ერთგვარი შეხლა, რომელიც დაკავშირებულია ბანდიტების გადალახვასთან ჩვენს ტერიტორიაზე, მაგრამ საერთოთ ჩვენი ურთიერთობა მაინც ღრმავდება. ჩვენ გაფაციცებითა და თანაგრძნობით ვადევნებთ თვალყურს ოსმალეთის მთავრობის ბრძოლას აჯანყებულებთან, რაიც (აჯანყება) როგორც სჩანს, მოწყობილია გარედან.

შემდეგ ამხ. ჩიჩერინი აღნიშნავს მეგობრულ დამოკიდებულებას სპარსეთსა და ავღანისტანთან და გადადის ჩინეთთან ურთიერთობაზე.

### საბჭოთა კავშირი და ჩინეთი.

ჩინეთის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩქარი ტემპით აძლიერებს ჩვენთან ახლოს მდგომ გომინდანის პარტიას. ჩინეთის მთავრობასთან ჩვენი კავშირი მტკიცე მეგობრულია. ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზაზე ჩქარა უმჯობესდება მდგომარეობა. იქ იმდენად კარგად არის დაყენებული საქმე, რომ თვით უცხოელებიც კი გამოსთქვამენ გაკვირვებას რკინის გზის ტეხნიკურ გაუმჯობესებით, და შემოსავლის გადიდებით.

### ჩვენ და იაპონია.

ჩვენ საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესებას აგვირგვინებს ხელშეკრულება ჩვენსა და იაპონიას შორის. იაპონიამ დაგვიბრუნა ჩვენ ჩრდილოეთი სახალინი. ეს ფაქტი დიდ მეგობრულ ურთიერთობის მომასწავებელია იაპონიასთან.

იაპონიის ინტერესებს დიდ წინააღმდეგობას უწევს ამერიკა; ინგლისი და სხვა სახელმწიფოები. იაპონიამ უნდა ეძებოს მომხრე აზიის საერთაშორისო დამოკიდებულებაში და მით უფრო დიდ როლს ითამაშებს იაპონიის მომავალ პოლიტიკაში ჩვენს კავშირთან დაახლოება.

### დასკვნა.

გასული წლის ბოლოს ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას ძიმე მომენტი ჰქონდა.

ეს მძიმე მომენტი უკვე დაძლეულია. ინგლისთან ურთიერთობა უმჯობესდება და საფრანგეთსა და ჩვენს შორისაც იბადება შეთანხმების შესაძლებლობა.

მაგრამ მაინც მოსალოდნელია რაიმე არა სასურველ გარემოების გამო თავი იჩინოს კიდევ ერთიანი ფრონტის შექმნის სურვილმა ჩვენს წინააღმდეგ. ბოლოს ჩვენ მაინც ანგარიში უნდა გაუწიოთ და დავეყრდნოთ თავის თავს, ე. ი. ჩვენი მასების მთლიანობასა და შეკავშირებას. ხოლო ამის მიღწევა შეიძლება ლენინიზმის იდეის გაძლიერებით ფართე მასებში.

ამრიგად ლენინიზმის იდეის გაძლიერებას მასებში აქვს დიდი დიპლომატიური მნიშვნელობა, როგორც ძალას, რომელიც გადაგვაქცევს ჩვენ ჰკლდედ და რომელზედაც დაიმსხვრევიან ჩვენი მტრების ვერაგული ზრახვები.

---

## 1-ლ ქართულ დივიზიის პარტორგანიზაცია.

1902 წ. დაბად კომუნისტების და კანდიდატების შემოდგომის გაწვევამ შეიტანა მთელი რიგი ცვლილებანი პარტორგანიზაციების შემადგენლობაში.

ქვემოდ მოყვანილ ცხრილებში მოცემულია ჩვენი ორგანიზაციის შემადგენლობის დახასიათება უკანასკნელ ცნობების თანახმად.

შემოდგომის გაწვევის შემდეგ მომხდარ ცვლილებების თვალსაჩინო სურათს მისაღებად და შესადარებლად იქვე მოყვანილია ცნობები გ. წ. 1 ივლისისათვის. ეს ცვლილებები შემდეგში გამოიხატებიან: (პროცენტებში).

1. პარტიული სტაჟი.

| სტაჟი. | I/VII —24 | I/I 25 | განსხვავება. |
|---|---|---|---|
| 1905 წლ. | 1,7 | 0,8 | -0,9 |
| 1905—1917 | 0,6 | 1,1 | +0,5 |
| 1917 | 5,8 | 5,7 | -0,1 |
| 1918 | 15,8 | 10,0 | -5,8 |
| 1919 | 7,6 | 6,8 | -0,8 |
| 1920 | 5,8 | 8,0 | +2,2 |
| 1921 | 22,7 | 16,1 | -6,6 |
| 1922—1923 | 3,4 | 2,2 | -1,2 |
| 1924 | 1,7 | 4,9 | +3,2 |
| კანდიდატები | 934, | 44,4 | +9,5 |

ე. ი. ორგანიზაცია გაღარიბდა პარტიული სტაჟით, მხოლოდ მოიმატა 1924 წლიდან პარტიის წევრებით და კანდიდატებით.—ივლისიდან დეკემბრამდე კანდიდატთა რიცხვი 34,9 პროც—დან გაიზარდა 44,4 პროც—მდე,—ე. ი. თითქმის 10 პროც.

2. წითელ არმიაში გაწვევამდე სოციალური მდგომარეობა

| კატეგორ. | 1 ივნ. 24 წ. | 1 იან. 25 წ. | განსხვავებ. |
|---|---|---|---|
| მუშები | 24,9 | 15 2 | 9,7 |
| გლეხები | 47,2 | 57,5 | +10,3 |
| სხვები | 27,9 | 27,3 | 0,6 |

პარტიის წევრების შემცირებამ გავლენა იქონია სოციალური მდგომარეობაზედაც. ივლისიდან დეკემბრამდე მუშების რიცხვი შემცირდა 9,7 პრ. და თითქმის იმავე რიცხვით გაიზარდა გლეხების შემადგენლობა, სხვების (მოსამსახურეების) შემადგენლობაში ვერ ვხედავთ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რის გამო გამოგვაქვს დასკვნა, რომ ჩვენ პარტიულ ორგანიზაციაში გლეხების რიცხვმა იმატა მხოლოდ მუშების რიცხვის შემცირების ანგარიშზე.

თუ ავიღებთ პარტიის წევრების და კანდიდატების სოციალურ მდგომარეობას ცალცალკე სურათი უფრო ნათელი იქნება.

პარტიის წევრები

| სოც. მდგ. | 1/VII 24 წ. | 1 იან. 25 წ. | განსხვ. |
|---|---|---|---|
| მუშები | 21 4 | 16,3 | -5,1 |
| გლეხები | 42,9 | 51,1 | +8,2 |
| სხვები | 35,7 | 32,6 | -3,1 |

კანდიდატები

| სოც. მდგომ. | 1/VII-24 წ. | 1/I-25 წ. | განსხვავება |
|---|---|---|---|
| მუშები | 31,7 | 13,8 | —17,6 |
| გლეხები | 54,9 | 65,5 | +10,6 |
| სხვები | 13,4 | 20,7 | +7,3 |

პარტიის წევრთა რიცხვში გლეხების პროცენტი მატულობს, მუშების და სხვების რიცხვი კი მცირდება.—კანდიდატების შემადგენლობაში კი მატულობს, როგორც გლეხების პროცენტი ისე სხვების (მოსამსახურეების). პარტიის მე-XIII ყრილობის დადგენილებას მოსამსახურეების პარტიაში მიღების შესახებ ცხოვრებაში გატარებამ გავლენა იქონია კანდიდატთა შემადგენლობაზე და გაზარდა მოსამსახურე—კანდიდატების რიცხვი 7,3 პროცენტით.

4. წლოვანება.

წლოვანებით პარტიული შემადგენლობა იყოფა შემდეგნაირად.

დაბად. 1902 წ.—26,8 პროც. 1901—20 პროც. 1900—1898 წლ. 25,6 პროც. 1897—1891 წლ. 21,5 პროც. 1898—1885 წლ. წლ. 5,3 პროც. 1884 წ. და უფრ.—0,8 პროც. — 36,8 პროც. პარტიული შემადგენლობისა იმყოფება ქართ. წითელ არმიაში დღიდან მის დაარსებისა—ე. ი. 1921 წლიდან.

(შემდეგი იქნება.)

რუდოვსკი.




## სამხედრო პოლიტ-სკოლის ცხოვრებიდან.

გაკვეთილები გათავდა. კურ... ტები გამოიშალნენ ეზოში, ...მელსაც გაზაფხულის მზე ...ად აფრქვევს სხივებს. ამხა... ...ები დაიყვნენ ჯგუფ-ჯგუ... ...დ და გამართეს საუბარი. ...პარაკობენ ინგლისზე, ამე... ...კაზე და თავიანთ ცხოვრე... ...ზე.

...ეზოს კარებში გამოჩნდა ში... ...კი გაზეთებით ხელში; ყვე... ...ი იქეთკენ გაეშურენ და ერ... ...წამის განმავლობაში დაი... ...ცეს, შიკრიკს ხელიდან აც... ...დენ გაზეთებს.

...ყველას აინტერესებს ერთი ...მ: რა კეთდება ცაკის მე-3 ...სესიაზე, რას ამბობენ ...ა და სხვა ერთვნებების წარ... ...მადგენელნი.

...აი ერთი კურსანტი ჩადგა ...აში და დაიწყო კითხვა, ...ები გულმოდგინეთ უგდე... ბენ ყურს. ყურადღებას იპყ... რობს ამხ. რიკოვის სიტყვა საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ. „შემდეგ მომხსენებელი გადავიდა ჩვენ საშინაო პოლიტიკაზე და აღნიშნა, რომ „ნეპის“ პერიოდმა მოგვცა საგრძნობი შედეგები. სათესი მოედანი ავიდა 88 პროც.-დე, მრეწველობა გაიზარდა 31 პროცენტით. კითხულობს კურსანტი. მსმენელებს ღიმილი უთამაშებთ სახეზე. გაათავა ა. ხ. გაზეთის კითხვა. ყველა ცდილობდა თავისი შეხედულება, აზრი გამოეთქვა წაკითხულის შესახებ, მაგრამ მოულოდნელად გაისმა ზარის ხმა, რომელიც მოუწოდებდა კურსანტებს და ყველანი იქეთ გაეშურენ.

ე. ხუციშვილი.

---

## ...ვენც ვიწერთ გაზ. „წითელ არმიელს“

ცალკე საკავშირო ასეულის უფ პოლიტშემადგენლობამ ...იმინა რა ასეულის სამხკომის და ასეულის თავის მოხსენე... ...გაზ. „წითელ არმიელის“ უმწეო მატერიალურ მდგომა... ...ობის შესახებ, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

— ჩვენი — ქართული დივიზიების ორგანო გაზ. „წითელ არ... ...ელი“ თავიდანვე ემსახურებოდა დივიზიების წითელ-მოლაშ... ...ეთა აღზრდისა და განვითარების საქმეს.

გაზეთმა შესძლო საუკეთესო სოფლის კორესპონდენტე... ...ს აღზრდა და ამასთანავე ის დარაჯად უდგა ნაწილების ...ხოვრების წესიერად მიმდინარეობის საქმეს. გაზეთის არსე... ...ობას მომავალში უაღრესად მნიშვნელობა აქვს წითელ-არ... ...ელთა ფართო მასის გათვითცნობიერებისათვის და სხვა. ასე... ...ლის მეთაურ-პოლიტშემადგენლობიდან თითო კაცი იწერს ...ზ. „წითელ არმიელი“-ს ორ ორ ეკზემპლიარს სოფლე... ...ისათვის. დარწმუნებული ვართ ამით უფრო დაუახლოვდე... ...ა ჩვენი ჯარი სოფელს, რომელიც ადვილად გაიგებს, თუ ...ოგორ ეპყრობიან გლეხების შვილებს წითელ ყაზარმებში.

დი.

---

## ...ოგორ ჩატარდა სამხ. პოლიტ. ...ოლაში სკოლის არსებობის წლის თავი.

23-24-ს დაიწყო მზადება საქართველოს გასაბჭოების ოთ... ...წლის თავის დღესასწაულისათვის.

ამასთანავე სკოლა დღესასწაულობდა თავის არსებობის ...ლის თავს.

სკოლა მოწყობილი და გამშვენიერებული იქნა სხვა და ...ვა ბელადების სურათებით, პლაკატებით და ლოზუნგე... ...ით.

23 თებერვალს გვეწვიენ მუშები და გაეცვნენ ჩვენი ...ოლის მდგომარეობას.

სკოლის დათვალიერების შემდეგ მუშებმა ინახულეს ...ელი ყაზარმები, რის შემდეგ გაიმართა ლეგიონის კლუბში ...ზეიმო სხდომა, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. მიხა ...ხაკაიამ. 25 თებერვალს სამხ. პოლიტ. სკოლის წლის თავის ...იმზე მოწვეული იქმნენ სხვა და სხვა ფაბრიკა-ქარხნებიდან ...უშები და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები.

სკოლის შემადგენლობა დილიდანვე ელოდებიან სტუმ... ...ებს. უეცრივ გაისმა ავტომობილის ხმა. გვესტუმრა ახლად ...ნიშნული არმიის მთავარ-სარდალი ამხ. კორკი. ამხ. მიესა... ...მა კურსანტებს და შემდეგ დაათვალიერა სკოლა, ამასობა... ...ი გვესტუმრა მიხა ცხაკაიაც, რომელიც მიესალმა მთელ შე... მადგენლობას, და მოგვილოცა საქართველოს გასაბჭოების წლის თავი და სკოლის ერთი წლის თავი.

რის შემდეგ ამხ. მიხა ცხაკაია აბარებს სვანეთის მშრომელი ხალხისაგან მოძღვნილ დროშას ამხ. სკოლის უფროსს. საპასუხო სიტყვით გამოვიდა კურსანტი ამხ. კოხრეიძე, რომელმაც შემდეგი განაცხადა; „დროშა რომელსაც გვაბარებს დღეს სვანეთის მშრომელები, არ დაიხრება ძირს და ყოველთვის წინ გაგვიძღვება თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ამის ფიცს ვაძლევთ ჩვენ სვანეთის მშრომელებს და მსოფლიო პროლეტარიატსო.“

შემდეგ გაიმართა საზეიმო სადილი, რომელზედაც მიპატიჟებული იქნენ ყველა სტუმრები. საღამოზე კი ცენტრალურ წით. არმიელთა კლუბში გაიხსნა საზეიმო სხდომა და შემდეგ ჩატარებული იქნა სპექტაკლი.

ა. მახარაძე.

---

## პირველი ლეგ. საკლუბო მუშაობა.

### ექსკურსიები.

24 თებერვალს ლეგიონმა მოაწყო ექსკურსია ტყავ-ტრესტის მუშებთან დაახლოებისა და ფაბრიკის დათვალიერების მიზნით. ამავე დღეს საღამოს 8 საათზე ლეგიონის კლუბში გაიმართა წარმოდგენა საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავის აღსანიშნავად. წარმოდგენამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. 25 თებერვალს ჩვენი ლეგიონის წ. მოლაშქრენი დაგსავნილ იქნენ სხვა და სხვა თეატრებში და კინო-თეატრებში.

23 და 24 თებერვლისათვის მომზადებულ იქმნა ორი პოლიტიკური ხასიათის გასამართლება: 1. წითელ ფიცის დამრღვევის ომიანობის დროს და 2. მენშევიკები, როგორც სახალხო ქონების გამტაცებელნი. მაგრამ ორივე გასამართლება აღნიშნულ რიცხვებში პროგრამის სიდიდის გამო გადადებულ იქმნა შემდეგ საღამოსათვის.

### კავშირი სოფ. დიღომთან.

ჩვენს ლეგიონს აღებული აქვს კულტშეფობა სოფ. დიღომზე. სოფელს ლეგიონი ეხმარება კულტურულად, უგზავნის სურათებს, პლაკატებს და სხვა.

22 თებერვალს ჩვენი ლეგიონის საკავშირო გუნდის დრამატიული წრის მიერ აღნიშნულ სოფელში დადგმულ იქმნა პიესა:

„ბატონი და ყმა“. 3 მოქმ. საერთოთ 1-ლი ლეგიონის საკლუბო მუშაობა, როგორც ზემოდ აღნიშნულ მუშაობიდან ჩანს მეტ შედეგებს იძლევა მასიური მუშაობით. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მომავალში საკლუბო გამგეობა, რომელიც დღემდი მოიკოჭლებდა თავის საქმიანობაში უფრო მეტი ენერგიით და ცოდნით შეუდგება მუშაობას და თავის მისიას პირნათლად შეასრულებს.

გ. სიხარულიძე.

---

## ჩვენც მოვიხდით ჩვენს ვალს.

მეექვსე ლეგიონის 6-ე ასეულმა ქ. ლიუქსემბურგის ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციებისა, გლეხებთან და უპარტიო ახალგაზრდებთან ერთად დიდი ზეიმით ჩაატარა წარსული დღესასწაულები. მოეწყო დიდი მიტინგი, რომელზედაც მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: სამაზრო პარტკომის, ახკომკავშირის, რაიაღმასკომის პროფკავშირის, პოლიტბიუროს სამაზრო აღმასკომის, გლეხკომის და 6 ე ლეგ. მეთაურების, პოლიტშემადგენლობის, წითელ არმიელების და 6-ე ასეულის კომუჯრედის წარმომადგენლები.

ყველა ამხანაგების სიტყვებს დიდი აღფრთოვანებით ეგებებოდა მიტინგი და გაისმოდა დაუსრულებელი ტაში და „ვაშა“-ს ძახილი.

ბოლოს მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მთელი დამსწრე საზოგადოება, ახალგაზრდა მწევამდელები და სხვა აღფრთოვანებას გამოსთქვამენ წითელი არმიის გმირული ბრძოლების გამო მთელი შვიდი წლის განმავლობაში და დასდვეს ფიცი, რომ საჭიროების დროს მყისვე ჩადგებიან მის ფოლადისებურ რიგებში, რათა პირნათლად შეასრულონ თავისი ვალი მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე.

რეზოლიუცია დაიფარა ინტერნაციონალის ჰიმნის მძლავრი ხმებში, აღტაცებით მღეროდა მთელი ხალხი, რომელშიდაც გაისმოდა ერთი დიადი იდეით გატაცება და მტკიცე რწმენა.

სამხკორი

ლ. კოტიანეთელი.

---

# პარტიული ცხოვრება.

## 4-ხე საგაუბიცო ბატარეია.

4 მარტს მეოთხე საგაუბიცო ბატარეიაში შესდგა კომუჯრედის ღია კრება. დაესწრო ბატარეიის მთელი შემადგენლობა.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

მოხსენება მეოთხე პარტკონფერენციის დადგენილებათა შესახებ და მოხსენება კომკავშირის სოფლად მუშაობის შესახებ.

მეოთხე პარტკონფერენციის დადგენილებათა შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ქვათაძემ. ამხანაგი ვრცლად შეეხო ქართული წითელი ლაშქრის მოქმედებას და მის მიღწევებს. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მის როლს, გასულ წელში მომხდარ მენშევიკურ გამოსვლების სწრაფად ჩაქრობაში. მომხსენებელმა მხედველობიდან არ გაუშვა ისიც თუ რა მოვალეობა აწევთ უვადო შვებულებაში მიმავალ არმიელებს და რა უნდა აკეთონ მათ სოფლად. მოხსენებამ მრავალი შეკითხვები გამოიწვია წითელარმიელებიდან. გამოტანილი იქნა რეზოლიუცია სადაც აღნიშნულია, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებას შეებრძოლებიან მთელი თავისი ძალღონით.

ახკომკავშირის სოფლად მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლეჟავამ, რომელიც ვრცლად შეეხო კავშირის მოვალეობას სოფლად კულტურული საქმიანობის დარგში. თითეული კავშირის წევრი, საუკეთესო მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს ყველასათვის, თუ როგორ უნდა აწარმოონ უპარტიოებმაც სოფლად საგანმანათებლო ხასიათის მუშაობა.

ახკომკავშირის რიგებში საჭიროა ჩათრეულ იქნენ სოფლად ახალგაზრდა ქალებიც, რაც ნაწილობრივად სისრულეშია მოყვანილიო. ამხანაგმა ვრცლად გააშუქა აგრეთვე სხვა მხრივ კავშირის მომავალი მუშაობა სოფლად და კრებაც დაიხურა.

გრ. ბარათაშვილი.

---

## ლორებმა აგვიკლეს.

პირველ ლეგიონის ეზოს ამ გამოზაფხულებისთანავე კვლავ შამოეჩვიენ აუარება ღორები და იხვები. ყოველ დღე მთელი ჯოგი მოიყრის თავს ეზოში, მიდიან წყალსადენის მილთან და აბინძურებენ როგორც წყალს ისე მთელ ეზოს. ამას თავი დავანებოთ წყლის, მოსაკავებელ ჭურჭელშიც კი (ბოჭკა) ჩადიან და სუფთა წყალი ველარ გვიშოვია. საჭიროა ლეგიონის მორიგეებმა და კომენდანტმა შესაფერი ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას, თორემ სრულიად ადვილად შეიძლება ასეთ პირობებში გავხდეთ რაიმე გადამდები სენის მსხვერპლი.

სამხკორი გიგო.

---

## მეთაურთა საარტილერიო სკოლა.

### კედლის გაზეთი.

აღნიშნულმა სკოლის შემადგენლობამ შესძლო სადღესასწაულო გაზეთის გამოშვება შემდეგი სახელწოდებით: „წითელი არტილერისტი“, სადაც კურსანტებმა დიდი მონაწილეობა მიიღეს მასალების მიწოდებაში. ეს არის ჩვენი რედკოლეგიის პირველი ნაბიჯი და შემდეგში კი ვეცდებით სარედაქციო კოლეგიას რომ, უფრო დაეინტერესებიოს კურსანტები მასალების მიწოდებაში.

### წრეების მეცადინეობა.

თუმცა სკოლაში დაარსებულია სხვა და სხვა წრეები, მაგრამ ჯერ — ჯერობით მეცადინეობა კი არ სწარმოებს, რადგანაც ხელ — ახალი მოწყობა და დაბინავება დაგვჭირდა. საჭიროა მეცადინეობის დაწყება, რაიც აუცილებლად გაგვიადვილებს მეცადინეობას.

სამუილ ძიროვნელი.

---

## ძეგვის ხიდის სადარაჯო გუნდის ცხოვრებიდან.

ძეგვის ხიდზე მოდარაჯე გუნდი, თავის დანიშნულების სიმაღლეზე სდგას. სხვა და სხვა მიზეზები ხელს უშლიდა გუნდს პოლიტიკო-კულტურულ ხასიათის მუშაობის წარმოებაში. ამ ჟამად თავი დავაღწიეთ ასეთ დამაბრკოლებელ მიზეზებს. წერა-კითხვის უცოდინარ წითელ არმიელებთან უკვე დაიწყო მეცადინეობა. ტარდება საუბრები სხვა და სხვა საინტერესო თემებზე. წერა-კითხვის შესწავლის საქმე ეხლაც ვერ არის მაინცა და მაინც კარგად დაყენებული, მაგრამ იმედია ჩქარა გამოსწორდება. გუნდში ყოველმხრივაა დაცული სისუფთავე და წესრიგი.

დ. ნიკოლაიშვილი

## ჩაი ადრე უნდა მზადდებოდეს.

პირველ ლეგიონში გვაქვს მეთაურთა სასადილო და გვყავს დაქირავებული სამი მომუშავე.

გარდა კუთვნილი ულუფისა ყველა მოსადილე თვიურად იხდის დაახლოებით 3 მანეთამდი.

პირველ ხანებში სადილი კარგად მზადდებოდა, მაგრამ შემდეგ უფრო და უფრო გაფუჭდა სადილები.

ამას გარდა არც დილით და არც საღამოთი ჩაი არა გვაქვს. დილის ხუთ საათზე სახლიდან წამოსული მეთაური მოდის ლეგიონში იმ იმედით, რომ რადგან მან ოჯახში ვერ მოასწრო ჩაის დალევა, სასადილოში დახვდება მზად და მშიერი არ მოუხდება წითელ არმიელებთან მეცადინეობა, მაგრამ ცრუვდება იმედები.

თითქმის 10 საათზე ადრე სასადილოში ჩაის წყალი არ დუღდება.

მეცადინეობა კი იწყება რვის ნახევარზე.

საღამოთი ხომ სრულიად არ დუღდება.

საჭიროა ჩაი დილით ადრე იქნეს ადუღებული შვიდის ნახევარზე მაინც რომ მეთაურმა მოასწროს ჩაის დალევა. სასადილოს გამგეობამ აუცილებლად უნდა მოაწესრიგოს ეს საქმე. დაგვიხსნას გასაჭირისაგან.

ამასთანავე სასადილოში ძლიერ უსუფთაობაა, ამასაც ბოლო უნდა მოეღოს.

სამხედრი ბოკო.

## მოვხედით ვეტერინარული საათი.

საარტილერიო ლეგიონთან არსებულ უმცროს მეთაურთა სკოლაში არ ტარდება ვეტ. სანიტ. საათები.

სკოლის სამეცადინო ცხრილის მიხედვით, კი ვეტ. სანიტ. საათები უნდა ტარდებოდეს ორჯერ კვირაში, თვით ექიმის ხელმძღვანელობით, მაგრამ არ ხდება.

საარტილერიო ლეგიონში დაარსებულია ვეტ. განყოფილება, რომელშიაც შედის უფროსი ვეტ. ექიმი ოთხი თანაშემწით.

ნუ თუ არ იცის ექიმმა, რომ ჩვენს ყაზარმის ლენინის კუთხეში ვეტ. მომუშავებიდან არაფერი გაკეთებულა, შეიძლება ჩვენი ექიმი იმას ფიქრობდეს, რომ ქართული ენის უცოდინარი ვარ და ყველაფერი მეპატიება?

მაგრამ ეს არ იქნება მართალი, ჩვენ უნდა გავიაროთ მთელი პროგრამა მთლიანად მაშასადამე უნდა გავიაროთ ვეტერინარიაც. ის სისტემატიურად უნდა ტარდებოდეს სკოლაში.

გასულ წელში ვეტერინარიის საკითხი საუცხოვოთ იყო დაყენებული ჩვენთან.

ხშირათ იკითხებოდა ლექციები, ეწყობოდა ექსკურსიები ვეტერინარულ ლაბარატორიებში და სხვა ისეთ სადგურებში, რომელიც იწვევდა ჩვენს წითელ არმიელებში დიდ ინტერეს.

შარშანდელზე უფრო წელს უნდა იყოს დაყენებული ვეტ. საქმე, მაგრამ ამაზე არავინ ზრუნავს.

უმცროს მეთაურთა არტ—სკოლა ახლო მომავალში გამოუშვებს მეორეთ ახალ მეთაურებს, რომელთაც ექნებათ საქმე ახალ წვეულ წით. არმიელებთან და მათ მოუხდებათ გააცნონ არმიელებს ცხენებთან შეგუება და მათი მეცნიერულათ მოვლა—წმენდა.

თუ რომ ჩვენი უმცროსი მეთაურები არ იქნებიან გაცნობილი ვეტ—ჰიგიენას, რა უნდა შეასწავლონ წითელ არმიელებს?

ამიტომ საჭიროა მოეწყოს ვეტ. სან. საათები ზემო აღნიშნულ სკოლაში. იმედია აღნიშნულ საქმის მოგვარებას თავს იდებენ ჩვენი ვეტ. მომუშავეები, და შესაფერ ცოდნასაც მისცემენ კურსანტებს.

სამხედრი ნამკაშურელი.

## სამხედრო საქმე
### ოპერატიული ძიება.

ეს არის შორეული ძიება. ყოველივე არმია საბრძოლო მოქმედების წინ, აწარმოებს ძიებას 3-4 გადასავალზე (75-100 კილომეტრი). მხოლოდ იმის შემდეგ, როცა არმიის სარდალი მიიღებს ცნობას ძიებიდან მტერზედ, ადგენს გეგმას თავის არმიის მოქმედებისას. ომის დროს ჯარი ან აწარმოებს შეტევას, თუ ის ძლიერია, ან და ამაგრებს გამოსადეგ პოზიციას და აწარმოებს მოგერიებით ბრძოლას, როცა ის სუსტია. ასეთი თუ ისეთი გეგმის გამოუშვება დამოკიდებულია იმაზედ, თუ რა ძალისაა მტერი და რას აპირობს ის. ამას წინდაწინ გაიგებას ოპერატიული ძიების საშვალებით.

ამნაირათ ოპერატიული ძიებას ეძლევა შემდეგი ამოცანები: 1. აღმოაჩინოს მტერი; 2. გამოარკვიოს მისი ძალა; 3. რას აპირობს ის—მიდის შეტევაზედ თუ მაგრდება ადგილობრივ; 4. გამოარკვიოს მიმართულება მისი მოძრაობისა; 5. შეაჩეროს ის იმდენხანს, რამდენიც შეუძლია; ყველა ეს ცნობები დაჩქარებით ეგზავნება სარდალს.

ოპერატიულ ძიებას აწარმოებენ: ავიაცია, ცხენოსანი ჯარი და რადიო სადგურები.

ავიაცია სარგებლობს რა თავის სისწრაფით, ზვერავს მტერს შორის მანძილზედ. მას აქვს ფოტოგრაფიული აპარატები და მის საშუალებით იღებს სურათებს იმ ადგილებისას, სადაც შეამჩნევს მტრის ნაწილებს. ის ხელს უშლის მტრის თვითმფრინავებს დაზვეროს ჩვენი ნაწილები. ცხენოსანი ჯარი ახდენს დაწვრილებითი ძიებას მიწაზედ ფართე კედაროთი. მისი ძიება ხდება ბრძოლებით, რისთვისაც ის იყენებს მიკემულ სასროლ იარაღებს და აგრეთვე ტეხნიკურ ნაწილებს. მას მჭიდრო კავშირი აქვს მაძიებელ თვითმფრინავებთან და ღებულობს მათგან ცნობებს მტრებზედ. თუ საჭიროა ის იკავებს სტრატეგიულ წერტებს და ამაგრებს მას მთავარი ძალების მისვლამდის.

რადიო-სადგურები იჭერენ ტალღებს, რომლებსაც უშვებენ მტრის რადიო-სადგურები.

იმათ შეუძლიათ გამოარკვიონ, თუ რამდენი სადგური აქვს იმ მხარეში მტერს. ამის მიხედვით შეიძლება გამორკვევა მის ძალისაც.

აგრეთვე სარგებლობენ ხშირათ ჯაშუშებითაც. მტრის მხარეში, ისინი შეუმჩნევლათ იგებენ მის ძალა და პირობითი ნიშნებით, ან შიფრით აცნობებენ მათ გამგზავნელ უფროსებს ტელეგრამით ან ტელეფონის საშუალებით.

ი. ლოლიძე.

## უცხოეთის არმიებში.

**პოლონეთის საზღვაო სამზადისი.**

პოლონეთის მთავრობა მთელ—ძალღონეს ახმარს ბალტიის ზღვის ნაპირზე ქ. გდინში ნავთსადგურის რაც შეიძლება დაჩქარებით აგების საქმეს. მიმდინარე წელში შეუდგენ ნავთსადგურის მთელ რიგ შენობების აგებას და მათ რიცხვში ნავთსადგურის ყაზარმებისაც.

**ფლეტნერის გამოგონების შესახებ.**

საფრანგეთის გაზეთების ცნობით, ფლეტნერის ხომალდის საცდელი მოგზაურობამ (მბრუნავ ცილინდრებით, რომელიც იყენებს ქარის ძალას) დანციგიდან—კოლნამდე, ვერ გაამართლა გამომგონებლის იმედები. ამნაირად ის განგაში, რომელიც გამოიწვია ფლეტნერის აღმოჩენამ თითქმის უსაფუძვლო შეიქნა.

თავისი მოძრაობის დროს ქარის წინააღმდეგ მიმართული ხომალდი იძულებული შეიქნა აემუშავებია დამხმარე მოტორები.

ჟურნალისტებთან საუბრის დროს ხომალდის გამომგონებელმა ინჟენერმა განაცხადა, რომ პრინციპიალურ ტეხნიკური მოსაზრებით გემზე მოთავსებულმა ცილინდრებმა კარგი შედეგები მოგვცა, მაგრამ ეკონომიურად გამოყენების თვალსაზრისით საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

## ამბები სოფლებიდან

**გლეხკომების კონფერენცია.**

კვირას 1 მარტს, თელავში გაიმართა თელავის გლეხკომების სამაზრო კონფერენცია.

**დახმარება ქვრივ—ობლებს.**

თელავის გლეხკომების კონფერენციამ დაადგინა გაზაფხულის თესვის დროს მოუხნან და დაუთესონ ადგილები ყველა ქვრივ—ობლებს.

**სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი გორში.**

ამ დღეებში გორში გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი.

**ახალი კურორტების მოსაწყობათ.**

ლეჩხუმის აღმასკომმა დაავალა ჯანმრთ. განყოფილებას სამი თვის განმავლობაში გამოიკვლიონ მაზრაში არსებული ყველა საკურორტო ადგილები ახალი კურორტების მოწყობის მიზნით.

**საფერშლო პუნქტი.**

ლეჩხუმის აღმასკომმა დაადგინა სოფ. ნაყურალეში გახსნას საფერშლო პუნქტი.

**სოფლელების შუამდგომლობა.**

სოფ. კონდოლის (თელავის მაზრა) გლეხებმა აღძრეს შუამდგომლობა, რომ მიეცეთ მათ უფლება საკუთარი ხარჯით სკოლის აშენებისა.

**ჰიდრო ელ. სადგური ცაგერში**

ლეჩხუმის აღმასკომმა გადასწყვიტა გაზაფხულიდან შეუდგეს ცაგერში ჰიდრო ელსადგურის აშენებას.

**აფთიაქი სოფ. სორში.**

ჯანსახკომმა გადასწვყიტა გახსნას აფთიაქი სოფ. სორში (რაჭის მაზრა) თანახმად ადგილობრივ გლეხების თხოვნისა.

## საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობა.

**ოზურგეთის მაზრა.**

— **დვაბზუს თემი.** საბჭოში არჩეულია 55 წევრი. აქედან კომუნისტი 13 და 5 ქალი.

— **შემოქმედის თემი.** საბჭოს არჩევნები დასრულდა. არჩეულია 52 წევრი. აქედან კომუნისტი 19 და ქალი 7.

— **ნაგომარის თემი.** არჩევნებში მონაწილეება მიიღო 964 მოქალაქემ. საბჭოში გავიდა 2 ქალი და 7 კომუნისტი.

**შორაპნის მაზრა.**

— **სოფ. ჭალა.** საბჭოში აირჩიეს 34 წევრი. აქედან 8 კომუნისტია, ერთი ქალი, და 2 კომკავშირელი.

— **კორბოულის თემი.** საბჭოს არჩევნები დასრულდა. სულ აირჩიეს 78 წევრი. მათ შორის 9 კომუნისტია.

## ბიბლიოგრაფია.

**ახალი დივიზიები (თარგმნილ-გადმოკეთებული). გამოცემა პირველ და მეორე ქართულ დივიზიების პოლიტგანყოფილებებისა. 35 გვერდი. 1925 წ.**

დაიბეჭდა და მალე დაეგზავნება ქ. დივიზიების ნაწილებს წიგნაკი „ახალი დივიზიები“.

წიგნის მთავარი მიზანია აუხსნას მკითხველს, თუ რა[…] შემოიღო საბჭოთა ხელისუფლებამ ტერიტორიალური სის[ტე]მა. შიგ მოყვანილია მთავარი მომენტები დაწყებული ოქ[ტო]მბრის რევოლიუციიდან უკანასკნელ დრომდი.

წიგნი თავისი მოქნილი და მხატვრული ენით ა[…]ლი გასაგებია და თვით მცირე მცოდნე მკითხველსაც კი [...] ინტერესებს.

წიგნაკი გამოცემულია ლამაზად და დაბეჭდილია [კ]ქაღალდზე ნათელი შრიფტით.

სულ მოკლე დროში, პირველ ქართულ მსროლელ [დი]ვიზიის პოლიტგანყოფილებამ, იმ მცირე თანხით, რომე[ლიც] მის განკარგულებაში იმყოფება, შესძლო გამოეცა რამოდე[ნი]მე სახელმძღვანელო დივიზიის ნაწილებში მუშაობისათ[ვის] ესენია—**პროგრამა პარტსაგანმანათლებლო მუშაობისა საშუალო-უფროს მეთაურთა პოლიტმეცადინეობისა,** [პო]**ლიტსაათის მეთოდიკის სახელმძღვანელო, ბიულეტენ №№ 1-ლი და მე-2-რე,** წითელი არმია რავესის და სხ[...]

X.

## ახალი ამბები

— **აღმასკომის დახმარება.** გორის აღმასკომმა გადასცა ადგილობრივ მდგარ № ლეგიონს ათასი მანეთი სხვა და სხვა საჭიროებისათვის.

**შინაგან საქმეთა კომ სარიატის** წინაშე აღძრულია შუამდგომლობა გორის აღმასკომის მიერ სურამის ქალაქად დამტკიცების შესახებ.

**სპეცტეხნიკუმების რიცხვი.** მიმდინარე წლის განმავლობაში მთელ საქართველოში ირიცხება 25 სპეციალური ტეხნიკუმი. აქედან 9 ტფილისშია.

— **გაცოფებული კაცი.** ამას წინეთ სომხეთში ერთი მოქალაქე დაუკბენია რაღაც ძაღლს, რის გამოც აღნიშნული მოქალაქე გაცოფებულა და თავის მხრივ კიდევ დაუკბენია 17 მოქალაქე. ამჟამად ყველანი მოთავსებულნი არიან ტფილისში პასტერის ინსტიტუტში.

—**მუშათა მედიცინის** [...] **მართველო** შეუდგა საკონ[...] ტეროებში და ფუნებში [...] მუშავე მუშათა ჯანმრთელო[ბის] გამოკვლევას.

— **ტრამვაის მუშაობა.** [...]ვრის განმავლობაში ტფილ[ი]სის ტრამვაის ვაგონების მ[...] გადაყვანილია 2.697.394 მ[გზ]ავრი.

— **თივის დამზადება.** [...]ვშირმა ბაკურიანის რაიონ[ში] დაამზადა 15 ათასი ფუთი [თი]ვა და მანგლისის რაიონში 20 ათასი ფუთი.

— **სოფლის მეურნეობის** [...]თვის. მიწ. მოქ. კომისარია[ტ]მა გადასწყვიტა მიმდინარე წ[ლ]ის განმავლობაში აგრო დაწ[...]რებაში დახარჯოს 40 ათა[სი] მანეთი.

— **ტყის შემოსავალი.** [გა]სული წლის განმავლობაში [...] ქართველოს ტყეების შემო[სა]ვალი უდრის 440 ათას მა[ნ]ეთს.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

## განცხადებები.

ა. წ. 7 მარტს დილის 10 საათზე დანიშნულია 1-ლ[ი] მ. დ. პარტკომისიის სხდომა, პარტკომისიის ბინაზე (ევანგ[უ]ლოვის ქუჩა № 2) რომელზედაც საჭიროა გამოცხადდენ ყვე[ლ]ა წევრები და კანდიდატები, აგრეთვე ევალებათ გამოცხა[]დდენ პოლიტ-სკოლიდან შემდეგ პირებს:

1. ბაქრაძე მიხეილ, 2. არაქელოვ ვასილ, 3. ცეცხლ[ა]ილია და 4. მახარაძე ადამ.

1-ლ ქ. მ. დ. პარტკომისია.

## პირველ დივიზიის პარტკომისი[ა]

აცხადებს, რომ ბინაკად გასვლამდე ის რჩება ტფილისში ძველ ბინაზე, სადაც აწარმოებს თავის მუშაობას.

პარტ-კომისიის მდივანი
ს. ლომიძე.

## ვის აქვს საწინააღმდეგო

ამხ. ამხ. ოსიპაშვილი აბესალომი, ჭელიძე ალექსანდრე, აბზიანიძე ირაკლი, გაბედავა ლეონტი, ფანცულაია მაკარ[ი], ქერქაძე მოსე, ურუშაძე აქსენტი და პაჭკორია ბენიამ[ინი] ახკომკავშირიდან გადარიცხული იქნენ პარტიის კანდიდატ[ე]ბათ. გთხოვთ თუ ვინმემ რაიმე იცის უარყოფითი ამ ამხანა[]გების შესახებ გვაცნობეთ პრესის ან და პირადი მომართვ[ის] საშვალებით, სამხედრო პოლიტ-სკოლის კომუჯრედში.

კომუჯრედის მდივანი ი. ლოგუა.



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.